# შპს „ა ლ ა თ ი“

ს/კ 204540835, სამტრედია, სოფ. მელაური. ტელ.: 5 93 159 991; E-mail: Vasikov1@gmail.com


„-21-„ -აპრილი -„ 2023 წ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტს

გაცნობებთ, რომ შპს „ალათი“-ს სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. მელაურის (მიწაბოგირას) ტერიტორიაზე 2009 წლიდან მოწყობილი აქვს აგურის საწარმო.

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტის თანახმად, „აგურის წარმოება“ წარმოადგენდა ეკოლოგიურ ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობას, თუმცა საწარმოს არ აქვს გავლილი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროცედურები.

საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 47-ე მუხლის თანახმად, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობები, რომელთა განხორციელებაც 2018 წლის 1 იანვრამდე დაიწყო და რომლებსაც არა აქვს გარემოზე ზემოქმედების ნებართვა ან მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება, თუ აღნიშნული საქმიანობების განმახორციელებლებს არ მიუმართავთ გზშ-ის სფეროში შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მისაღებად, საჭიროებს სააგენტოს მიერ მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას ამ მუხლით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტროს 2018 წლის 11 ოქტომბრის N2-827 ბრძანებით დამტკიცებული „ეკოლოგიური აუდიტის შედგენისა და მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის“ შესაბამისად, მომზადებული იქნა შპს „ალათი“-ს აგურის წარმოების ეკოლოგიური აუდიტის ანგარიში.

წარმოგიდგენთ, ზემოაღნიშნულ ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშს, გთხოვთ, განიხილოთ და მიიღოთ გადაწვეტილება საქმიანობის გაგრძელების შესახებ.

დანართი: ეკოლოგიური აუდიტის ანგარიში და ელ.ვერსია;
გარემოზე ზემოქმედების შემცირების/შერბილების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკი;
shp-ფაილები;
ამონაწერები საჯარო და სამეწარმეო რეესტრიდან.

პატივისცემით
ბორის ერქვანიძე
დირქტორი

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
„25“ 04 2023წ.
№ 3501